დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“ დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მაია ომიაძე
წევრები:
თათია კაციტაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406056173

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 10 სექტემბრის №1197475 საფუძველზე, 2026 წლის 25 სექტემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში (ქ. თბილისი, ც. დადიანის N28 და წერონისის N208) „საქართნო განათლების“ ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. შედგა გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელ პირებთან, შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წინასწარ და ვიზიტის პერიოდში მოწოდებული ინფორმაცია, დათვალიერდა დაწესებულების ინფრასტუქტურა, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (LMS) და ბიბლიოთეკის მართვისა და კატალოგის სისტემისთვის OPEN Biblio.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საქთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	V
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საქთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	რექტორის 2026 წლის 30 ივლისის N2/122 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ინგლისური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ . N28; წერონისის ქ. N208
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	168 კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180 კრედიტი

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დასაბუთება, რომელიც ეფუძნება შრომის ბაზრის ანალიზსა და შესაბამისი საჭიროებების კვლევის შედეგებს. აღნიშნულ დასაბუთებაში მკაფიოდ არის წარმოჩენილი პროგრამის საჭიროება, მიზნობრიობა და აქტუალობა, რაც ადასტურებს მის შესაბამისობას აკადემიის მისიასთან - უზრუნველყოს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი პროფესიული განათლება, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები და ხელი შეუწყოს მათ დასაქმებას. ინგლისურენოვანი საექთნო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა ეფუძნება პროფესიული განათლების განვითარების პრიორიტეტებს, ქვეყნის ჯანდაცვის სექტორის საჭიროებებსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო ტენდენციებს და პასუხობს შემდეგ სტრატეგიულ მიმართულებებს:
საქართველოს ჯანდაცვის სისტემისთვის მაღალკვალიფიციური საექთნო კადრების მომზადებას, საექთნო განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, გლობალურ და რეგიონულ შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, მობილობის განვითარების ხელშეწყობას, პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციისა და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციის პროცესის გაძლიერებას, სამედიცინო ტურიზმის განვითარებისა და საერთაშორისო პაციენტებზე ორიენტირებული ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მხარდაჭერას, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო, უცხოური და მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულებების მზარდი საჭიროების დაკმაყოფილებას ინგლისურენოვანი პროფესიული კომუნიკაციის უნარის მქონე საექთნო პერსონალით, საერთაშორისო პარტნიორობის, ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტებისა და აკადემიური მობილობის განვითარების ხელშეწყობას. ინგლისურენოვანი საექთნო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობას დასაბუთების ნაწილში ასევე წარმოდგენილია პროგრამის შემუშავების პროცესში პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებებისა და პროფესიული ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ოფიციალური მხარდაჭერის წერილები, რომლებიც პროგრამის საჭიროების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს. პროგრამის შემუშავების ფარგლებში განხორციელებული კონსულტაციების შედეგად, მხარდაჭერა და თანამშრომლობის მზადყოფნა გამოხატული აქვთ შემდეგ ორგანიზაციებს:
   - ამერიკული ჰოსპიტალი თბილისი;
   - ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი;
   - ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი;
   - შპს აკად ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი;
   - საქართველოს ექთნების ასოციაცია;
   - ა(ა)იპ ექთანთა გაერთიანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, „საქთნო განათლება“ შემუშავებულია აკადემიის „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ თანახმად, რაც დასტურდება პროგრამის ადაპტირების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის ბრძანებითა და შესაბამისი ჯგუფის სხდომის ოქმით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „საქთნო განათლება“ სრული პაკეტის ინგლისურ ენაზე თარგმნა და პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსების მობილიზება, მათ შორის მასალების მოძიება - მოწოდების ნაწილში უზრუნველყოფილია აკადემიის მიერ გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებებით. ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2026 წლის 22 ივლისის N959651 თანხმობის წერილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „საქთნო განათლება“ ინგლისურ ენაზე განხორციელების შესახებ.

ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „საქთნო განათლების“ განხორციელების მიზანშეწონილობა შეფასებულია დადებითად და არის შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებზე დაფუძნებული და ინსტიტუციურად გამართულებული გადაწყვეტილება, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აკადემიის განვითარების სტრატეგიას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.1.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საქთნო განათლება“, დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება და ინგლისური ენის B1 დონეზე ფლობა. აღნიშნული წინაპირობები მიზნად ისახავს უზრუნველყოს პროგრამაზე ისეთი პირების ჩარიცხვა, რომელთაც გააჩნიათ პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი წინარე ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების დროულად და ხარისხიანად მიღწევას პროგრამით განსაზღვრულ ვადებში. დაწესებულების რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს №2/130 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელშიც დეტალურად არის განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადები, შერჩევის პროცედურები, კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის მექანიზმები, უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის ჩარიცხვის წესი და პერიოდულობა, აგრეთვე სწავლის წესი და პირობები, შესაბამისი კომისიების შექმნისა და ფუნქციონირების პრინციპები. აღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან და საქართველოს მთავრობის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის ჩარიცხვის წესისა და პერიოდულობის, აგრეთვე სწავლის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ 2026 წლის 8 სექტემბრის №436 დადგენილებასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.1.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ ადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესს. მეთოდოლოგიის თანახმად, კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება: საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა და დატვირთვა; A გარემო/თეორიული მეცადინეობისთვის განკუთვნილი სივრცე - სტუდენტთა რაოდენობა აუდიტორიაში გაიანგარიშება ერთ პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო ადგილისა და კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარისა და აღჭურვილობის მიხედვით; B გარემო/კომპიუტერული კლასი - ერთ პროფესიულ სტუდენტზე ერთი სრულად დაკომპლექტებული კომპიუტერი, C გარემო/პრაქტიკული კომპონენტისთვის განკუთვნილი სივრცე - სამუშაო ადგილების რაოდენობა, ფართი და პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და კანონმდებლობით დადგენილი წესით მოდულის სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობა. დაწესებულებამ აღნიშნული დებულების საფუძველზე წარმოადგინა გაანგარიშებული კონტინგენტის რაოდენობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აკადემიას გააჩნია შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსი, რათა სრულფასოვნად განახორციელოს პროგრამა მაქსიმუმ 168 პროფესიულ სტუდენტზე. კოლეჯს ამჟამად პროგრამისთვის გააჩნია 3 აღჭურვილი გარემო (A, B და A/C აუდიტორიები), A გარემოში განთავსებულია 28 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა/ სკამი) (დემონსტრირების საშუალებითა და პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპიუტერითა და სამუშაო მაგიდა/სკამით), B გარემო აღჭურვილია 28 პერსონალური კომპიუტერით, ხოლო A/C გარემოში განთავსებულია 28 პროფესიული სტუდენტისათვის განკუთვნილი სამუშაო მაგიდა/სკამი და პროფესიული მოდულების, „ავადმყოფის შინმოვლა“ და „შინმოვლით“ განსაზღვრული პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ინვენტარი. აღნიშნული მატერიალური ბაზა და დაგეგმილი ჯგუფების რაოდენობა (წელიწადში 2 სასწავლო ჯგუფი, დაკომპლექტებული 28-28 პროფესიული სტუდენტით, სულ 6 ჯგუფი 3 კალენდარული წლის განმავლობაში) სრულად თანაზომიერია მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობასთან. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია რიგი მოდულების დისტანციურ რეჟიმში სწავლება. აკადემიას შეძენილი აქვს ულიმიტო Zoom პლატფორმის მომსახურება, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას googl meet საკომუნიკაციო არხი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილ, უწყვეტ და ეფექტიან დაგეგმვა-განხორციელებას. დისტანციური სწავლების შემთხვევაში შესაძლებელია 2 პარალელური ჯგუფის გაერთიანებაც, ჯამში 56 პროფესიული სტუდენტის ჩართულობით. კონტაქტური (აუდიტორიული) სწავლებისას კი, თითოეულ ჯგუფში სწავლება წარიმართება 28 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 46 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის: 8 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, ხოლო პროფესიული დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი 38 პირი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა შეესაბამება მოქმედ სტანდარტებს და არ აღემატება კვირაში 40 საათს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან და მდგრად განხორციელებას. თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ 2 და მეტი განმახორციელებელი.
პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება შემდეგ კლინიკებში:

1. შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი - 35 პროფესიული სტუდენტი, ექთნისა და პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა 1/7;
2. შპს აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი - 56 პროფესიული სტუდენტი, ექთნისა და პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა 1/7;
3. შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა - 42 პროფესიული სტუდენტი, ექთნისა და პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა 1/7;
4. შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ - 42 პროფესიული სტუდენტი, ექთნისა და პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა 1/7;
5. ი.ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკა - 63 პროფესიული სტუდენტი, ექთნისა და პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა 1/7.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასება აჩვენებს, რომ აკადემიას გააჩნია საკმარისი ადამიანური რესურსი, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ორგანიზაციული გამოცდილება პროგრამის ხარისხიანად განსახორციელებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.1.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 30 ივლისის N2/122 ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, „საქართო განათლება“ ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების დეტალური ჩამონათვალი. თითოეული მოდულის ფარგლებში განსაზღვრულია შესაბამისი სასწავლო რესურსები - სასწავლო მასალები, სასწავლო რესურსი/ლიტერატურა, ტექნიკური საშუალებები და მატერიალური ბაზა, რომლებიც აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი რესურსები სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებსა და მოდულების შინაარსს და ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა მიერ ხარისხიანი განათლების მიღებას და პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების სრულფასოვნად შეძენას. აკადემია რეგულარულად ახორციელებს მატერიალურ და სასწავლო რესურსებზე მონიტორინგს, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს განახლებასა ან გაუმჯობესებას, სასწავლო პროცესის უწყვეტობისა და ხარისხის შენარჩუნების მიზნით. ექსპერტთა მოსაზრებით, აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული აღჭურვილობა ემთხვევა საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ფარავს მოდულების შესაბამის სწავლის შედეგებს, ამრიგად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.1.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. პსდ მიერ დამტკიცებული პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.1.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, „საქართო განათლება“ დამტკიცებულია ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2026 წლის 30 ივლისის N2/122 ბრძანებით. აკადემიის რექტორი, როგორც უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უფლებამოსილია დაამტკიცოს საგანმანათლებლო პროგრამები და განახორციელოს მათში ცვლილებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.1.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, „საქართო განათლება“ ზუსტად ასახავს პროგრამის არსს, შინაარსსა და პროფესიულ მიმართულებას. სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან და კვალიფიკაციის შინაარსთან, რადგან პროგრამა უზრუნველყოფს საქართო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას მოქმედი პროფესიული სტანდარტისა და დარგობრივი მოთხოვნების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.1.1.7) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე საექთნო განათლება/ Nursing, სარეგისტრაციო ნომერი 09109-პ . პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურება, კრედიტისა და კვალიფიკაციის მინიჭება, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულებისა და სასწავლო გეგმისგან. პროგრამის პაკეტს თან ერთვის ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ, აგრეთვე კანონმდებლობით განსაზღვრული დისტანციური სწავლების მექანიზმები.
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.1.1.8) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა);
- აკადემიის მისია;
- ერთწლიანი სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმები;
- წესდება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
- პროგრამის შემუშავების მიზნით გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებები;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2026 წლის 22 ივლისის N959651 თანხმობის წერილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „საექთნო განათლება“ ინგლისურ ენაზე განხორციელების შესახებ.შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საქთნო განათლება განხორციელდება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისამართზე: ქ. თბილისი, წერონისის ქ. №208 და ც. დადიანის ქ. №28. პროგრამის განხორციელებისათვის აკადემიას გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ ადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას. მეთოდოლოგიის თანახმად, კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა და დატვირთვა; A გარემო/თეორიული მეცადინეობისთვის განკუთვნილი სივრცე - სტუდენტთა რაოდენობა აუდიტორიაში გაიანგარიშება ერთ პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო ადგილისა და კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარისა და აღჭურვილობის მიხედვით; B გარემო/კომპიუტერული კლასი - ერთ პროფესიულ სტუდენტზე ერთი სრულად დაკომპლექტებული კომპიუტერი, C გარემო/პრაქტიკული კომპონენტისთვის განკუთვნილი სივრცე - სამუშაო ადგილების რაოდენობა, ფართი და პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და კანონმდებლობით დადგენილი წესით მოდულის სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობა. დაწესებულებამ აღნიშნული დებულების საფუძველზე წარმოადგინა გაანგარიშებული კონტინგენტის რაოდენობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საქთნო განათლების“ ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აკადემიას გააჩნია შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსი, რათა სრულფასოვნად განახორციელოს პროგრამა მაქსიმუმ 168 პროფესიულ სტუდენტზე. კოლეჯს ამჟამად პროგრამისთვის გააჩნია 3 აღჭურვილი გარემო (A, B და A/C აუდიტორიები), A გარემოში (ც. დადიანის ქ. №28) განთავსებულია 28 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა/ სკამი) (დემონსტრირების საშუალებითა და პროფესიული განათლების მასწავლებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპიუტერითა და სამუშაო მაგიდა/სკამით), B გარემო აღჭურვილია 28 პერსონალური კომპიუტერით, ხოლო A/C გარემოში განთავსებულია 28 პროფესიული სტუდენტისათვის განკუთვნილი სამუშაო მაგიდა/სკამი და პროფესიული მოდულების, „ავადმყოფის შინმოვლა“ და „შინმოვლით“ განსაზღვრული პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ინვენტარი. აღნიშნული მატერიალური ბაზა და დაგეგმილი ჯგუფების რაოდენობა (წელიწადში 2 სასწავლო ჯგუფი, დაკომპლექტებული 28-28 პროფესიული სტუდენტით, სულ 6 ჯგუფი 3 კალენდარული წლის განმავლობაში) სრულად თანაზომიერია მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობასთან. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია რიგი მოდულების დისტანციურ რეჟიმში სწავლება. აკადემიას შეძენილი აქვს ულიმიტო Zoom პლატფორმის მომსახურება, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას googl meet საკომუნიკაციო არხი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილ, უწყვეტ და ეფექტიან დაგეგმვა-განხორციელებას. დისტანციური სწავლების შემთხვევაში შესაძლებელია 2 პარალელური ჯგუფის გაერთიანებაც, ჯამში 56 პროფესიული სტუდენტის ჩართულობით. კონტაქტური (აუდიტორიული) სწავლებისას თითოეულ ჯგუფში სწავლება წარიმართება 28 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი განხორციელებულ იქნება შემდეგ კლინიკებში, რომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებითაც დასტურდება სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი:

შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯამრთელობის ცენტრი - 35 პროფესიული სტუდენტი, ექთნისა და პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა 1/7;
შპს აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი - 56 პროფესიული სტუდენტი, ექთნისა და პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა 1/7;
შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა - 42 პროფესიული სტუდენტი, ექთნისა და პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა 1/7;
შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ - 42 პროფესიული სტუდენტი, ექთნისა და პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა 1/7;
ი.ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკა - 63 პროფესიული სტუდენტი, ექთნისა და პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა 1/7.

აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასება აჩვენებს, რომ აკადემიას და პრაქტიკის ობიექტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.2.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრულია სულ 46 განმახორციელებელი პირი, აქედან 8 ზოგადი მოდულის, ხოლო 38 - პროფესიული დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირი. მათი დატვირთვა არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ კვირეულ 40 საათიან დატვირთვას. დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების, წარმოდგენილი დოკუმენტაციის, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით დგინდება, რომ პროგრამის განხორციელების მდგრადობის კომპონენტი დაკმაყოფილებულია.
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.2.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტებითა და „განმახორციელებელი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, ინგლისური ენის კომპეტენციის შეფასების/დადასტურების წესი და პირობების“ განსაზღვრული წესების დაცვით. თითოეულ მათგანს გააჩნია დარგობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპეტენცია და უდასტურდებათ ინგლისური ენის შესაბამისი დონის ფლობა სერტიფიკატით. ამასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეში განთავსებულია სწავლა-სწავლების მეთოდებისა და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი. პერსონალს უდასტურდება შესაბამისი განათლება და სწავლების ან/და პრაქტიკული საქმიანობის სათანადო გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ მაღალი კომპეტენცია როგორც დარგობრივი, ასევე სწავლებისა და შეფასების მეთოდების მიმართულებით. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან და სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.2.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს დარგში მუშაობისა და სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და როგორც სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებასა და შემდგომი განვითარების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.2.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. აკადემია უზრუნველყოფს, რომ ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“ ფარგლებში სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონულად, ისე ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, კომპიუტერს ინტერნეტ ქსელით, პრინტერსა და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალებზე შეუფერხებელ წვდომას. ელექტრონული რესურსები განთავსებულია აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და კატალოგის სისტემისთვის გამოიყენება OPEN Biblio. აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „საექთნო განათლება“ საგანმანათლებლო რესურსების მობილიზება, მათ შორის მასალების მოძიება - მოწოდება უზრუნველყოფილია აკადემიის მიერ გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებებით. კოლეჯს ასევე შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.2.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია სსსმ/შშმ პირების წვდომის უზრუნველყოფა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. კოლეჯის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები საჭიროების შემთხვევაში ასევე გულისხმობს: საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფას; კოლეჯის ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობას, სასწავლო პროცესში ინდივიდუალურ მხარდაჭერას/ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთავაზებას მოდიფიცირებისა და აკომოდირების გზით, დამატებით ადმინისტრაციული მხარდაჭერას, საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას, საგანმანათლებლო რესურსის მიწოდებას შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით, დამხმარე ტექნიკას ან პროგრამულ უზრუნველყოფას. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.2.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილია ბიუჯეტები, საქართველოს მოქალაქეებისთვის სწავლება ნაწილობრივ დაფინანსდება ვაუჩერული დაფინანსებით, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეები განათლებას მიიღებენ თვითდაფინანსებით, ბიუჯეტები შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს ადმინისტრირების, პროფესიული განათლების მასწავლებლის ანაზღაურების, პრაქტიკის განხორციელების, მასალ-ნედლეულის, პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და არაფორმალური აქტივობების, პერსონალის განვითარების/წახალისების, მატერიალური რესურსების განახლების, რეკლამისა და საიმიჯო ღონისძიებების, კომუნალურ ხარჯებს, დიპლომის საფასურს, სესხის, ქონების, საპენსიო და სხვა გადასახადებს. რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 15 პროფესიულ სტუდენტზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობასა და ეფექტიან განხორციელებას. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში (23760 ლარი სტუდენტზე, ჯამში - 356400 ლარი), ხოლო ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში (23760 ლარიდან, ვაუჩერული დაფინანსება განისაზღვრება 13967 ლარით, ხოლო დამატებითი სწავლების საფასური - 9793 ლარით).
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.2.1.7) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და პირადი საქმე;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- „საკანონმდებლო მაცნეს“ მომსახურების ხელშეკრულება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასწავლო რესურსების მობილიზებასთან დაკავშირებით გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის დირექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N2/122 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დანართი N6), რომლის მე-3 მუხლით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სხვადასხვა ტიპის აქტივობას და კვლევის შედეგების საფუძველზე ახორციელებს შეფასებას. პროგრამის შეფასების მექანიზმი ასახავს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში რეგულარულად ხდება შრომის ბაზრის კვლევა და შეფასება, მიმდინარე მოთხოვნებთან თავსებადობის მიზნით. უკუკავშირის მიღების მიზნით გამოიყენება კითხვარები, რომლებიც მოიცავს პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების შეფასებებს. უკუკავშირის შედეგები გამოიყენება გამოწვევებისა და წარმატებების გამოვლენისთვის. საჭიროების შემთხვევაში, შეფასების საფუძველზე ხორციელდება ცვლილება პროგრამაში, რაც უზრუნველყოფს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და სტუდენტების უკეთეს მომზადებას შრომის ბაზრის გამოწვევებთან. აგრეთვე, აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფის მიზნით დანერგილია ISO 9001:2015 სტანდარტი. შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, განვითარების და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სტანდარტის ფარგლებში რეგულარულად ტარდება შეხვედრები, მუშავდება შესაბამისი დოკუმენტები და ხორციელდება პროცესების შეფასება, რაც უზრუნველყოფს სისტემის უწყვეტ განვითარებასა და დახვეწას. ვინაიდან, კოლეჯს არ აქვს ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელების გამოცდილება, ექსპერტთა ჯგუფმა პრაქტიკის შესწავლის მიზნით შეისწავლა ქართულენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „საექთნო განათლება“ ფარგლებში ჩატარებული, 2024-2025 წლების კურსდამთვრებულთა კვლევა, სადაც კურსდამთავრებულთა უმეტესობისთვის პროგრამის არჩევის ძირითადი მიზანი იყო კვალიფიკაციით დასაქმება, ცოდნის მიღება და პრაქტიკული უნარების შეძენა, კურსდამთავრებულთა 98% კმაყოფილი დარჩა არჩეული პროგრამის ხარისხისა და სწავლა/სწავლების დონით. 98%-მა აღნიშნა, რომ პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ სრულად გაამართლა მათი მოლოდინები. ეს მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს პროგრამის შესაბამისობასა და ეფექტიანობაზე. კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი დასაქმებულია ამჟამად. მათგან უმრავლესობა 92%-98% დასაქმდა პროფილით, კერძო სექტორში. პროფესიით დასაქმებულთა უმრავლესობისთვის დამსაქმებლის მხრიდან არ ყოფილა წამოყენებული ისეთი საკვალიფიკაციო/სპეციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცოდნის/უნარების მოთხოვნა, რაც კოლეჯში სწავლისას არ მიუღიათ ან ვერ განავითარეს საკმარისად. აქტიური პროფესიული სტუდენტების 2026 წლის კმაყოფილების კვლევის შედეგად იკითხება, რომ სასწავლო პროცესი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიონალიზმი, ასევე ზოგადი სასწავლო გარემო სტუდენტების მხრიდან მაღალი შეფასების და კმაყოფილების საგანია. სტუდენტების მიერ პრაქტიკის ობიექტით კმაყოფილების კვლევის შედეგები უდავოდ მიუთითებს პრაქტიკული კომპონენტის მაღალ ხარისხზე და მის ეფექტურ განხორციელებაზე. დადებითი პასუხების სტაბილურად მაღალი მაჩვენებლები (95%-ზე მეტი) ადასტურებს, რომ აკადემია წარმატებით ახორციელებს პრაქტიკის ობიექტების შერჩევას, მონიტორინგს და მათთან თანამშრომლობას. სტუდენტები თავს დაცულად გრძნობენ, ეცნობიან თავიანთ უფლება-მოვალეობებს და აქვთ წვდომა ყველა საჭირო რესურსზე სწავლის შედეგების სრულად მისაღწევად. პროფესიული სტუდენტი უპირატესობას ანიჭებს ჰიბრიდულ სწავლებას, კმაყოფილია აკადემიაში არსებული სტუდენტური ცხოვრების ხარისხითა და სხვადასხვა აქტივობების ორგანიზებით, მათი სოციალური და ადმინისტრაციული მხარდაჭერით. სტუდენტთა შეფასებებში დადებითად არის ასახული როგორც სასწავლო პროცესის ორგანიზება და სასწავლო გარემო, ისე პროფესიული განათლების მასწავლებელთა საქმიანობა და ადმინისტრაციული მომსახურება.

პარტნიორი ორგანიზაციების, დამსაქმებლების შეფასებით კურსდამთავრებულთა პროფესიული კვალიფიკაცია, ცოდნა და კომპეტენციები სრულად შეესაბამება შესაბამისი პოზიციების საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და სამუშაო ფუნქცია-მოვალეობებს. პარტნიორი კლინიკების უკუკავშირის მიხედვით, სამედიცინო სექტორში ინგლისური ენის სათანადო კომპეტენციის მქონე პროფესიული კადრების საჭიროება მზარდია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინგლისურენოვანი პაციენტების მომსახურების, პროფესიული კომუნიკაციისა და საერთაშორისო სამედიცინო რესურსების გამოყენების უნარი. პარტნიორი კლინიკების დაახლოებით 90%-ში დასაქმებული არიან ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის კურსდამთავრებულები.

პერსონალის კმაყოფილების კვლევით დგინდგება, რომ აკადემია ხაზს უსვამს ხარისხიან მენეჯმენტსა და მართვას, საინტერესო და კომფორტულ სამუშაო გარემოს, პერსონალის მაღალ კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმს, ორგანიზაციის ზრდაზე და სტუდენტების წარმატებაზე ორიენტირებულობას, დარგის ლიდერებთან ეფექტურ თანამშრომლობასა და ფინანსურ სტაბილურობას, რაც უსაფრთხოების განცდას უქმნის თანამშრომლებს. აკადემიამ აგრეთვე წარმოადგინა პერსონალის განვითარების 2026 წლის გეგმა, სადაც ერთ-ერთ განსახორციელებელ აქტივობად დასახელებულია ინგლისური ენის კომპეტენციის განვითარება/გაუმჯობესება (მინიმუმ B2 დონემდე), სამიზნე ჯგუფად კი - სასწავლო პროცესის სამსახურის წარმომადგენლები/პროგრამის ხელმძღვანელი/ პროფესიული განათლების მასწავლებლები/ პრაქტიკის ინსტრუქტორები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული უზრუნველყოფს აკადემიის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და მონიტორინგს, რაც, თავის მხრივ, ქმნის მყარ საფუძველს დაწესებულების მდგრადი განვითარების, ხარისხის შენარჩუნებისა და მისი სისტემური გაუმჯობესებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.3.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებული

2. დაწესებულება პერიოდულად ახორციელებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასებას. კოლეჯს აქვს პრაქტიკა საჭიროების შემთხვევაში გახორციელეოს პროგრამაში ცვლილება ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. კოლეჯი პერიოდულად ახორციელებს ხარისხის შეფასებას, რაც მოიცავს როგორც შიდა, ასევე გარე შეფასებებს. შეფასებისთვის გამოიყენება პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა უკუკავშირი, ვერიფიკაციის შედეგები, პროგრამის სხვა შეფასებები და ა.შ. შეფასებისას განიხილება: სასწავლო პროცესის ეფექტიანობა და რესურსების საკმარისობა; ძლიერი და გაუმჯობესების საჭირო სფეროები; ახალი მიდგომებისა და მასალების საჭიროება; პროგრამის შესაბამისობა საგანმანათლებლო მიზნებთან და პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებასთან. შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ, კოლეჯის შიდა რეგულაციების შესაბამისად. აკადემიაში არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, პროგრამის შეფასების პროცესში გაანალიზებულია სტუდენტთა სასწავლო მიზნების მიღწევის დონე და იდენტიფიცირებული გამოწვევები, სასწავლო პროცესის ეფექტიანობა და რესურსების საკმარისობა, ძლიერი მხარეები და გაუმჯობესების საჭირო სფეროები, ახალი მიდგომებისა და სასწავლო მასალების დანერგვის აუცილებლობა, ასევე პროგრამის შესაბამისობა საგანმანათლებლო მიზნებთან და პროფესიული განვითარების მოთხოვნებთან. ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს ახალი სასწავლო მასალებისა და სწავლების მეთოდების დანერგვას, სასწავლო პროცესის ორგანიზების გაუმჯობესებასა და რესურსების ოპტიმიზაციას. ყველა ცვლილება ხორციელდება კოლეჯის შიდა ნორმატიული დოკუმენტების დაცვით, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ხარისხის უზრუნველყოფის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- გასაუბრებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, „საქმიანო განათლება“ შედგენილია სასწავლო გეგმა, სადაც მოდულები ისეა განაწილებული, რომ პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამით გათვალისწინებული მოდულების დაშვების წინაპირობები. შესაბამისად პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.4.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. კოლეჯი პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროცესს. სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის წესები განსაზღვრულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმებით. სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მიეწოდებათ სრული ინფორმაცია პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია პროგრამაში ცვლილების განხორციელება ან მისი გაუქმება, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. კოლეჯი მყისიერად რეაგირებს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესში.
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.4.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სწავლების მეთოდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მოდულებში, ხოლო დარგის ტექნოლოგიების გამოყენებას უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები შესაბამისი სიახლეების გაცნობის, მიწოდების და სწავლების პროცესში. სწავლების სრულფასოვნად ორგანიზებისათვის სასწავლო გარემოები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. დისტანციური სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება ლიცენზირებული Zoom პლატფორმა, ასევე GOOGLE MEET, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან და უწყვეტ წარმართვას. პლატფორმები იძლევა სინქრონული სწავლების შესაძლებლობას და მოიცავს შემდეგ ფუნქციონალს: პირდაპირი ინტერაქცია განმახორციელებელსა და პროფესიულ სტუდენტებს შორის; პრეზენტაციებისა და სხვა სასწავლო რესურსების გაზიარებას, ჯგუფური მუშაობის ორგანიზებას ინდივიდუალური (Breakout) ოთახების გამოყენებით; დავალებების ახსნას, განხილვასა და ზეპირი უკუკავშირის მიწოდებას; სასწავლო პროცესის მხარდაჭერას დისკუსიების, პრეზენტაციებისა და სხვადასხვა ინტერაქციული აქტივობების მეშვეობით. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (LMS) დაწესებულებაში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (LMS), რომელიც წარმოადგენს ინტეგრირებულ ციფრულ პლატფორმას და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის სრულ ციკლს – დაგეგმვას, მართვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებასა და მონიტორინგს. სისტემა აერთიანებს: სასწავლო რესურსებისა და დავალებების განთავსებას, კომუნიკაციისა და უკუკავშირის მექანიზმებს; შეფასების პროცესის ადმინისტრირებასა და შედეგების დაფიქსირებას; პროფესიული სტუდენტების სასწავლო აქტივობის მონიტორინგს. აღნიშნული ფუნქციონალი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას, თანმიმდევრულობასა და ეფექტიან მართვას.
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.4.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგის შემუშავების აუცილებლობა დგება, თუ: პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს. აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით, ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით.
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.4.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით თანამშრომლობს შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებთან, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ხელშეკრულებებით განსაზღვრულია პრაქტიკის ინსტრუქტორის მიმართ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და რაოდენობა, პრაქტიკაზე მისაღები პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, მხარეთა უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები და სხვა მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

- შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი - 35 პროფესიული სტუდენტი, ექთნისა და პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა 1/7;
- შპს აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი - 56 პროფესიული სტუდენტი, ექთნისა და პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა 1/7;
- შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა - 42 პროფესიული სტუდენტი, ექთნისა და პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა 1/7;
- შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ - 42 პროფესიული სტუდენტი, ექთნისა და პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა 1/7;
- ი.ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკა - 63 პროფესიული სტუდენტი, ექთნისა და პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა 1/7.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.4.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულებაში მოქმედებს უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასა და დაცვას. აკადემიას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული მოდულების „ავადმყოფის მოვლა“ და „შინმოვლა“ პრაქტიკული სწავლების შემთხვევაში სპეციალური უსაფრთხოების წესები, რომლიც აუდიტორიაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. შესაბამისად, სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.4.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- Lms პლატფორმა;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრება.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. დოკუმენტი მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, აპელაციის, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას, მტკიცებულებების შენახვისა და აღრიცხვის წესებს. შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების რეგულაციას, რომელიც სრულიად შესაბამისია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. პროგრამის ფარგლებში დანერგილი კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა სრულად პასუხობს ხარისხის ძირითად კრიტერიუმებს. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სისტემა არის პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული და შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.
   ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.4.2.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, რომელზეც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირებიც იყვნენ ჩართულნი (განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა). ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები აისახება ანგარიშში, რომელიც დადგენილი წესით ეცნობება დაინტერესებულ პირებს/ მხარეებს. აკადემია პრაქტიკულად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების განახლებას ვერიფიკაციის ანგარიშების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათი ეფექტიანობისა და სანდოობის გაუმჯობესებას. ვერიფიკაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება გეგმა-გრაფიკის საფუძველზე შექმნილი სპეციალური ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, სადაც ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ვერიფიკატორად არ დაიშვება თავად ინსტრუმენტის შემუშავებაში მონაწილე პირი. ეს პროცესი სამი ძირითადი მიმართულებით — შეფასების ინსტრუმენტის, უშუალოდ შეფასების პროცესისა და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციის გზით ხორციელდება, რისთვისაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ იდენტიფიცირდება მაღალი რისკის შემცველი ფაქტორები (მაგალითად: დამწყები მასწავლებელი, მხოლოდ 100%-ით დადებითი ან უარყოფითი შედეგები მოდულში, ან 3 წლის განმავლობაში შეუმოწმებელი ინსტრუმენტები) ან გამოიყენება მტკიცებულებების შერჩევითი (არანაკლებ 20%-ისა) და შემთხვევითი შერჩევის პრინციპი. შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციისას დარგის სპეციალისტები, ხარისხის სამსახური თუ განათლების ექსპერტები შეჯერებული სამუშაო კითხვარების მეშვეობით ადგენენ ინსტრუმენტის ვალიდურობას, რელევანტურობას, ტექნიკურ გამართულობასა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობას, ხოლო უშუალოდ პროცესის ვერიფიკაციისას მოწმდება პროცედურების თანმიმდევრულობა, გამჭვირვალობა და ობიექტურობა. ჯგუფის წევრების მიერ დოკუმენტაციის კომპლექსური შესწავლისა და კითხვარების შეჯამების საფუძველზე ყალიბდება ერთიანი შეჯერებული პოზიცია, ზუსტი ჩანაწერები გადაეცემა ხარისხის სამსახურს, ხოლო გამოვლენილი ხარვეზები და გაუმჯობესების რეკომენდაციები აისახება ვერიფიკაციის სრულყოფილ საბოლოო ანგარიშში, რომელიც წარედგინება რექტორს და ეგზავნება პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და სასწავლო პროცესის სამსახურს. აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, იგეგმება კონკრეტული სამოქმედო გეგმები, ხორციელდება ცვლილებები შეფასების ინსტრუმენტებსა თუ დადგენილ პროცედურებში და ხდება თავად ვერიფიკაციის წესის მოდიფიცირებაც კი, რაც ადასტურებს დაწესებულებაში ვერიფიკაციის მექანიზმის ქმედითობას, ციკლურობასა და ორიენტირებულობას შეფასების ხარისხის მუდმივ განვითარებაზე.

პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო 2025 წლის ვერიფიკაციის შედეგებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, რომლის სამიზნე მიმართულებებს წარმოადგენდა შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტების ანალიზი, შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივი და ტექნიკური გადამოწმება, პროფესიული სტუდენტების მტკიცებულებების განხილვა, პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და სტუდენტების გამოკითხვა და შეფასების პროცესის პრაქტიკული მონიტორინგი. მოდულების შერჩევა განხორციელდა რისკების წინასწარი იდენტიფიცირების საფუძველზე და ფოკუსი გადატანილიყო იმ კომპონენტებზე, სადაც შედარებით მაღალი იყო შინაარსობრივი, პროცესუალური ან ტექნიკური ხარვეზების აღმოჩენის ალბათობა. ვერიფიკაციის რისკ-ფაქტორს ასევე წარმოადგენდა დამწყები/ან/და ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლის სასწავლო პროცესში ჩართულობა, მოდულის პირველადი შეფასების შედეგად (მათ შორის, ვინც გამოცხადდა), სტუდენტთა 50%-ზე მეტმა მიიღო უარყოფითი შეფასება, მოდულის პირველადი შეფასების შედეგად (მათ შორის, ვინც გამოცხადდა) ყველა სტუდენტმა მიიღო დადებითი შეფასება. ვერიფიკაციის პროცესმა წარმოაჩინა რიგი მნიშვნელოვანი პოზიტიური პრაქტიკა, რომლებიც სწავლების ხარისხის, პროცესების გამჭვირვალობისა და მონაწილეთა ჩართულობის მიმართ აკადემიის პასუხისმგებლობას ასახავდა. ვერიფიცირებისას არ გამოკვეთილა ისეთი დარღვევა, რაც ხელს შეუშლიდა საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობასა და შეფასების პროცესს. შენიშვნები ძირითადად მიმართული იყო ტექნიკური უზუსტობისაკენ, რის საფუძველზეც ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ განხორციელდა დმატებითი ინტერვიუები შესაბამის მხარეებთან: მოდულის განმახორციელებელ პირთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან — ინფორმაციის დაზუსტებისა და ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.4.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, მტკიცებულებები ინახება უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, როგორც ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ასევე ელექტრონულად, შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის ხელმისაწვდომობის მიზნით. მტკიცებულებათა მაღალი მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად, სასწავლო პროცესის სპეციალისტი შეფასების უწყისების ელექტრონული აღრიცხვის ჟურნალში ასახავს თითოეული კონკრეტული მტკიცებულების ზუსტ განთავსების ადგილს. თავად შეფასების უწყისები (ძირითადი ფორმა, განმეორებითი დადასტურება 1 და განმეორებითი დადასტურება 2), რომლებსაც პროფესიული განათლების მასწავლებელი ავსებს და ხელმოწერით აბარებს შეფასების დასრულებიდან არაუგვიანეს 2 დღისა, კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ აღრიცხვის ფურცელთან ერთად გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ, რაც სრულად ადასტურებს მონაცემთა შენახვისა და აღრიცხვის სისტემის საიმედოობას.
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.4.2.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. კოლეჯი განმსაზღვრელი შეფასების გარდა იყენებს განმავითარებელ შეფასებასაც. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად შესაძლებელია ინიცირდეს სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემის გაუმჯობესების ინიციატივები და დადგეს ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროება. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასება პირდაპირ არის მიმართული მათ შემდგომ განვითარებაზე, რისთვისაც აკადემია რეგულარულად ახორციელებს შეფასების მონიტორინგს, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებლები უზრუნველყოფენ კონსტრუქციულ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან. უკუკავშირის პროცესში მკაცრად არის დაცული პერსონალური მონაცემები, რაც გამოიხატება იმაში, რომ ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირებით მისი შეფასების გასაჯაროება დაუშვებელია (თუ არ არსებობს სტუდენტის წერილობითი ან სიტყვიერი თანხმობა) და შედეგები საჯაროდ განიხილება მხოლოდ განზოგადოებულად, ხოლო კონკრეტული სტუდენტის ინდივიდუალური შედეგები და წინსვლის გზები განიხილება მასთან პერსონალურ, ინდივიდუალურ შეხვედრაზე. გარდა ამისა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება თავად საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით, ვინაიდან დაგროვილ შედეგებზე დაყრდნობით დაწესებულებას აქვს მექანიზმი შეცვალოს მოდულების რიგითობა, დახვეწოს სწავლების მეთოდები, მოახდინოს შეფასების ინსტრუმენტების ან საგანმანათლებლო რესურსების მოდიფიცირება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს განვითარებას.
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.4.2.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ვერიფიკაციის შედეგები;
- გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

16.10.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: